

1
1959

ქართული
საბავშვო

ნან. ჯ. ლომუასი

კაფე-თესე, კაფე-თესე.




№ 7

თბილისი საბავშვო


1959

ქართული

გამოსემის XXXVII წელი ფასი 2 მან.




მკობრული შარჟი
ნან. გ. ფირცხალავასი



ი. გრიშაშვილს

ლექსს გვიწერ როგორც მურაბას, დასაბერებლად, სოხოჯან, რითმით, რიტმით და ბუნებით. რას ამზობ, სადა გვალაია, ხავსე გაქვს ტუჩის ყულაბა რთცა ასეთი დღე არის. ზღვა კოცნის უზალთუნებით. რთცა ამდენი ქალია!

59



აბანო და
„უცხოელები“

შემოაღამდა ანეტას აბანოდან აბანოში სირბილში. ყველა მოსინჯა, მაგრამ ვერ იქნა, ვერსად გააწყო ნომერი. საგანგებოდ ამოარჩია ტკიცინა ოცდახუთმანეთიანი და მოლარეს ცხვირწინ აუფრიალა. მაგრამ ამაოდ... გაკერპდა მოლარე. ვერ მიხვდა ანეტა, სხვები მეტს იყვნენ შეპირებულები, თუ ამოდენა რიგის შემყურე უწესრიგო მოლარეც წესრიგში ჩამდგარიყო.

ჭრელ აბანოში მისვლა თავიდან არ უფიქრია, გოგირდის წყალი თმას არბილებს და ყველაზე ჭრელ-ჭრელი მუშტარიც ამ აბანოს ჰყავსო. მაგრამ, სხვაგან რომ ვერაფერი გააწყო, აქაც მოსინჯა.

კარებზე მიმწყდარი ქალების აყალმაყალზე მიხვდა, რომ ვერაფერს ვახდებოდა და იმედდაკარგული კიბეზე ჩამოჯდა, ყურს უგდებდა მოჩხუბარ ქალებს, გუნებაში ჰკიცხავდა ყვილას.

მაინცდამაინც ხვალ უნდა იყოს ყველა ტანდაბანილი. ანე-

ტას გვერდით ახლა ორი გოგო ეჯდა. მათი აქ ყოფნა თავიდან არც კი შეუმჩნევია, მაგრამ უეცრად ყური მოჰკრა მათ საუბარს და ეუცხოვა. უცხოელები ხომ არ არიანო, — გაიფიქრა და გოგოები შეათვალიერა.

— სადაური ხართ, შეილებო? — დაინტერესდა ანეტა.

გოგოებს გაელიმათ, — თბილისელები. ინგლისურ ენას ვსწავლობთ და ახლა ვვარჯიშობთ. — უპასუხა შეათვალამ.

— ჰო! მე კი აქაურები არ მეგონეთ. რომელი ნომერი ხართ? ეგების მეც მომიხერხოთ რამე. — შეევედრა ანეტა.

— ჯერ არც ერთი, ველოდებით. გასცა პასუხი ქერათმიანმა.

— ო! მაშ კარგად გქონიათ საქმე, ხვალ დილაზე მოგიწევთ ლოდინი, უცხოელებო. — უთხრა ანეტამ გოგოებს და თავისავე სიტყვაზე ყური გაამახვილა.

— უცხოელებო, — გაიმეორა მან და თვალები გაუფართოვდა.

— მოდით, მოდით, — წამოიძახა ანეტამ. წამოდგა და ორთავე გოგონა თავისაკენ მიიზიდა.

— გოგოებო, ხომ იცით რა პატივშია ჩვენში სტუმარი? ჰოდა, ახლა მომყევით და ილაპარაკეთ ინგლისურად. — უბრძანა ანეტამ და გოგოები წინ გაიდგო.

ანეტა აბანოს შესასვლელთან დაწინაურდა. შუშის ფანჯარას ტუჩი მიადო და თეთრხალათიან ქალს უჩურჩულა:

— კარი გამიღე, ინგლისელები არიან ჩამოსულები, — სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ კარი ფართოდ გაიღო.

— ილაპარაკეთ ინგლისურად, — წაჰკრა მუჯღუგუნე ანეტამ ორთავეს.

— დედა, დედა, რა შესანიშნავი კაბები აცვიათ. ტუფლები! იქაური რომ ყველაფერი ლამაზია! ან რა ტანი აქვთ, ან რა ფეხები! ჩვენი ქალი რომ თავს ვერ მოუვლის და გასივდება, ისე კი არაა, არ ჰამენ არაფერს, თუ რაშია საქმე? — მისძახოდნენ დერეფანში მიმავალ უცხოელებს ქალები.

ანეტა თავაწეული, განარჯვებულის იერით მიჰყვებოდა „უცხოელებს“.

— ჩვენი აბანოს წყალი მკვდარს გააცოცხლებს. გაგიგონიათ ვახტანგ გორგასალი — საქართველოს მეფე?.. ამ თბილი წყლის გამო დაერქვა ჩვენს ქალაქს თბილისი.

„უცხოელები“ თავს უკრავდნენ — „იეს, იეს, ვერი გულ“, — გაეიგეთო, ანიშნებდნენ. ამათ ანეტაც აჰყოლოდა და თუთიყუშივით იმეორებდა — „იეს, იესო“.

ორი საათის შემდეგ ნომრიდან გამოსულ სტუმრებს კარებთან დადარაჯებული აბანოს თანამშრომლები შემოგებენ, თავს უკრავდნენ, მოწიწებით ემშვიდობებოდნენ, თხვავდნენ, თუ კიდევ მოისურვოთ დაბანა, ჩვენთან მობრძანდითო.

— როგორ მოგეწონათ, ხომ გეამათ აბანო? — ჩააცვიდა ანეტას ვილაც თეთრხალათიანი. ანეტა მიხვდა, რომ ისიც უცხოელად მიიჩნიეს, „იეს, იესო“ — უპასუხა და ეგონა ამით თავიდან მოიშორებდა, აბეზარ მასპინძელს, მაგრამ არ მოეშვა ეს ქალი: — მოგწონთ, ხომ?

— მოგვწონს, მოგვწონს, — წამოცდა უეცრად ქართულად შეათვალას.

— მოგვწონს, — დაუდასტურა ქერათმიანმაც.

— როგორ, ქართულიც იციან!? — გაუკვირდა ვილაცას. ანეტა მიხვდა, რომ ხაფანგში გაება, მაგრამ ახლა იქით შეუბღვირა:

— იციან, იციან, ქალო, მაშ... ქართველები არიან და აბა რა იქნება? — მერე ანეტამ „უცხოელებს“ შეუძახა, — წადით, რას გაშტერებულხართო.

„უცხოელებმა“ იგულეს თუ არა თავი სამშვიდობოზე, ანეტასათვის მადლობა არც კი უთქვამთ, ისე მოკურცხლეს.

ანეტამაც იკადრა ძუნძული და, მარტოდ დარჩენილი ქუჩაში გულიანად მიკისკისებდა.



ჩემი მეგობარი გოგონა ავად იყო. დილით
ოდნავ დაუკლო სიცხემ.

ექიმს გამოვუძახე. ექიმი მოსვლისთანავე
საწერ მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა.

— გვარი?

— ნადირაძე.

— ოჰ, ამისთანა ნაზი ქალიშვილი და
ამისთანა მხეცური გვარი?! სახელი?

— ლილიანა.

— გათხოვილი?

— გაუთხოვარი.

— შე ქალო, ამდენი ხანი გაუთხოვარი
რამ დაგარჩინა?

— რა ვიცი, ბატონო, არავინ წამიყვანა...
არავინ...—აწუწუნდა ლილიანა და თვალბ-
ში ეშმაკური ნაპერწკალი აუკიაფდა.

— მარტო ცხოვრობ ამ ბინაში?

— დიას, მარტო.

ექიმმა დაკვირვებით დაათვალიერა ოთახი-

— ბინაც კაი გქონია და ავეჯიც, ერთი
ქმარი ვეღარ იშოვნე? ჰმ, კაცები ახლა ბი-
ნის გულიზა მახინჯ ქალებს თხოულობენ.
ჩემმა მეზობელმა ეგერ იმისთანა დაბენძლ-
ილი დედაკაცი შეერთო ბინიზა, რომ შე-
გებედა, შეგეშინდებოდა. მერე ვეშიც არა-
ვითარი არ ჰქონია. შენ კი ყველაფერი
გაქვს...

ექიმმა კვლავ მიმოავლო თვალი ოთახს
მერე ჩემს მეგობარს გადახედა დამამშვი-
დებლად დაუმატა:

— არა, გოგოსაც არა გიშავს რა.—მერე
თითქოს რაღაც მოაგონდაო, ისევ თავის ქა-
ლადებს მიუბრუნდა.

— რა ჩაწერო ბიულეტენში? ზემო გზე-
ბის კატარი გაქვს, არა?


— გაცივებული ვარ, ბატონო, გრიბი
მაქვს.

— ჰოდა, მაგას ჰქვია ზემო სასუნთქი
გზების კატარი. თბილად იწექი, ზებ პოლიკ-
ლინიკაში ჩამოდი, ბიულეტენს დაგიხურავ.
—საათს შეხედა და სასწრაფოდ ჩაალაგა
თავისი დავთრები პორტფელში.

— აბა, კარგად იყავი და ნუ გეშინია,
მე გიშოვი საქმროს. ჰო, ზებ არ დაგავიწყ-
დეს მოსვლა, ბიულეტენი უნდა დაგიხურო.—
და წავიდა.

ჩემი მეგობარი ერთი თვე კიდევ იწვა
ლოგინში, ფილტვების ანთება აღმოჩნდა.

ლენა დავითი



— ეს ამხანაგი თქვენთან არის დანიშნული განყოფილების გამგედ,
გაიცანით, რომ შემდეგში არა თქვათ, ტრესტში მუშავენს ღირექტორის გა-
რეშე ნიშნავენო.

მინისტრთა კონსტრუქციის უსაფუძვლო შენიშვნა

უსაფუძვლო შენიშვნა

ერთ სტუდენტს ფაკულტეტის დეკანმა უსაყვედურა:

— რას გავს ეს?! არ სწავლობთ, ინსტიტუტში სხვის ადგილს იკავებთ!

— რა ადგილს ვიკავებ, ბატონო, თვეში ერთხელ თუ გამოვივლი!—მიუგო-სტუდენტმა.

ბ. მახვილაძე

ცოლი და მოდა

პანტელეიმონი ზედიზედ იცვლიდა ცოლებს. ბოლოს მოდების მოყვარულ ქალს—ზეფორეს გადაეყარა.
ქალი ერთ დღეს შავად რომ იღებოდა თმას, მეორე დღეს ხანძრისფერი კულულებით ბრუნდებოდა. ხმა-
რობდა ნაირნაირ საცხებლებს, საღებავებს, ისე რომ, პანტელეიმონი ხშირად თვითონაც ვერ სცნობდა თავის მე-
უღლესს.

მოდებით გატაცება გადამწყვეტი გამოდგა; პანტელეიმონს ეგონა ყოველდღე იცვლიდა ცოლებს და აღარ
უფიქრია ზეფორესთან განქორწინებაზე.

ვლ. გელაშვილი

ერთ ქალს ბაზარში ბავშვი დაეკარგა. ნიშანი თუ აქვს რამე თქვენს ბავშვს, ადვილად ვიპოვნითო, ამშვი-
დებდა მილიციელი აცრემლებულ დედას.

— ნიშანი როგორ არა აქვს, პირწავარდნილი მამამისია!—შეებით ამოისუნთქა დედამ.

შ. მარმარაშვილი

სტუდენტმა ლექტორს შესჩივლა: თქვენს მიერ წაკითხული ლექციების კონსპექტი ორ რვეულში მოვათავსე
ერთს რომ ვისწავლი, მეორე აღარ მახსოვს, და თუ მეორეს წავიკითხავ, პირველი მაგიწყდებაო.

ლექტორმა რჩევა-დარიგება მისცა:

რვეულები გააერთიანეო.

ჯ. დავლიანიძე

წაკითხვები

— ალო! საიდან არის?

— ზოლქვაძის ბინაა.

— გამარჯობა, მიშა, მე ზოხიშე ვარ. კაცო, იმ დღეს შენს გვერდით რომ ახალგაზრდა ქალი იჯდა,
იმას მოსწონებინხარ და ჩამცივებია—გინდა თუ არა, შემახვედრეო. ვუთხარი, ცოლიანია—მეთქი, მაგრამ,
შენც არ მომიკვდე, აინუნშიაც არ ჩააგდო. ისე დიდი გაქეპილი ვინმე კი ხარ; რაღაცას რომ ეჩურჩულე-
ბოდი მალულად, მაშინვე მივხვდი, რომ სამიჯნურო ქსელებს აბამდი. ჩვენში დარჩეს და, კაი თჯახიშვი-
ლია. მამამისი შენი სიმამრივით გალღეტილი კი არაა; თითი რომ არ გააქნიო, ისე გაცხოვრებს მისი ქო-
ნება. ამას რომ თავი დავანებოთ, შენი ცოლი უშვილოც არის და... მოკლედ, შენი საქმისა შენ იცი,
ჩემო მიშა...

— მიშა შენ არ არის, ვაჟბატონო!

— რაო!.. მაშ ვინა ხართ?

— მისი სიმამრი ვახლავარ!

შრომისმოყვარე კლასი

(პაროდია ზოგიერთ ნარკვევზე)

ის-ის იყო ინათა და მამლებმა სადილაოც იყიველს.

დილის მზის სხივები კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოთახში შეიჭრნენ, იფიქრეს გავადიქებთ შრომის გმირს. ადრინადად შეუდგება საქმესო, მაგრამ მოტყუდნენ ცელქები. თავმჯდომარე უკვე კარგა ხნის წინათ გასულიყო სოფელში.

... კოლმეურნეობის გარაჟიდან მკვირცხლად გამოსულმა მანქანამ ფერმის წინ დაამუხრუჭა. კაბინიდან დინჯად გადმოეშვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სქელ-სქელი. შავგვრემანი ენერგიული. მაგრამ მშვიდი გამომეტყველების დანიელი.

ახალმოსულს ფერმის მოწინავე მუშა ვარდენ სირაძე მიეგება (სხვები თვის მოსატანად წასულიყვნენ... გამგეც მათ გაჰყოლოდა).

— გამარჯობა შენი. ვარდენ! — მიესალმა თავმჯდომარე.

— გაიმარჯოს. — რბილად გაეხმინა სირაძე. დანიელმა მზრუნველი თვალი გადაავლო ფერმას. ნამუშევარი მოეწონა შემდეგ კი დასძინა:

— ჩვენ გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ. შარშან მაგალითად 1600 სული ღორი

ნახ. ზ. წერეთლისა



— შარშან ყველაზე კარგად „ბ“ კლასის მწვრთნელებმა ითამაშეს.

— ეგ როგორ?

— სამივე „ა“ კლასში გადაიყვანეს.



ნინ. ვ. ქოქიაშვილისა

ინტენსიური
შეზღვირვისა

— რაც მართალია, მართალია, ძალიან ნასწავლი აგრონომი გამოგვიგზავნეს, შეხედე, პური დათესა და ყაყაჩო კი ამოიყვანა.

გავასუქეთ, თვითული 30 კგ წონით და ამის მეოხებით 128 ტონა ხორცი ვაწარმოეთ. ჩვენმა სახელოვანმა მწველავმა ქალებმა თვითულ საფურაქე ძროხაზე 2500 ლიტრი რძე მოიწიეს, მაგრამ ყველაფერი ეს არ შეიძლება ზღვარი იყოს, იგი ჩვენთვის არ არსებობს, ვიპყრობთ სიმალღეს, რათა ახალ მწვერვალზე ავიდეთ.

— აბა, მიღწეულზე ხომ არ გავიყინებით! — თავმომწონედ მაგრამ მოკლედ გაესიტყვა სირაძე. კოლმეურნეები ორ ჯგუფად დაყოფილან და ერთმანეთს გაჯიბრებიან. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი გაშმაგებით მუშაობს. ოფლში იწურება — რაა ნამუშევარს ბარაქა დააყაროს.

ჰაერში იფრქვევა გადაბარული აყალო მიწის თავბრუდამხვევი სურნელი.

— აბა, ხარვეზი არ გაუშვათ. ზევიდან არ გადაფერფლოთ. — მალი-მალ გაიძახის ბრიგადირი ბაკრატი.

— რისი ხარვეზი. რა ხარვეზი?! ასეთ რამეს ჩვენ ჩვეული არ ვართ! — ღიმილით ეხმინება ბრიგადირს სიმწიფისატესტატიანი. სამხედრო მოვალეობამოხდელი ამირან ვარდინავა.

თავმჯდომარეც ბრიგადირს მხარს უბამს:

განა სწორი არ არის? განა ჩვენმა «რკინის ხარებმა» შეუფრხებლად არ იმუშავეს, განა მათ არ მოხნეს, დათესეს დააზიგზავეს მშობლიური მინდვრები? განა ამის წყალობით არ იყო, რომ სიმინდმა ტანი აიყარა და ორი-სამი ტარო დაისხა?

— არიქა ვიჩქაროთ! მეორე ჯგუფმა არ გვაჯობოს... დღეს მათ სირცხვილი არ უნდა ეაჭამოთ! — მალიმალ გასძახებს თავის ჯგუფს ბრიგადირი. პირველჯგუფელებიკ ხელმძღვანელის ყოველ გაძახებაზე ტემს უმატებენ.

— სიჩქარით საქმე არ კეთდება. დინჯად! — ღიმილით ეხმინება მშრომელებს თავმჯდომარე.

მოწინავე ჯგუფი «არიქას» ყიყინითა და შეძახილებით მიიწევს წინ! მას კვალდაკვალ გაშმაგებით მისდევენ მეორეჯგუფელები.

ჰაერში გუგუნებს სიმღერის ეჭო...

მზე საშუადღეოზე წამოიწია...

მამალმა საშუადღეოც იყივლა...

დაღლილი კოლმეურნეები ჩრდილქვეშ დაეშვნენ. ისადიღეს.




ცოტა ჭული მოითქვეს და კვლავ შრომის ფერხულში გადაეშვნენ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბრიგადირი ისევ ხარვეზსა და გადაფერფლაზე გაიძახიან, ხან ერთს გამოსტაცებენ ბარს ხან მეორეს. ისინიც-ბარავენ! ამას უფრო მეტი ხალისი შეაქვს მუშაობაში!

...სალამოს კი ყველა ერთად შეიკრიბება მაღალქერიან. ნათელ კულტურის სახლში რათა მთელი დღის შრომის შემდეგ შინაარსიანად დაისვენონ.

ბ. გოგაბათელი



მოქალაქენო!

თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში გაიხსნა ახალი სასტუმრო „კლუბის სცენა“. სასტუმრო მომსახურებას უწევს ამავე ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს, რაფინანსის გამგეებს და რაიონის შემნახველი საღაროების გამგეებს.

სასტუმრო კომფორტაბელურია, აქ დგას როიალი, არის ჭადრაკი და ბილიარდი, რითაც მდგმურებს საშუალება ეძლევათ მთელი ღამე შინაარსიანად გაატარონ და გამოავლინონ ტალანტები.

საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებო, რაფინანსის გამგეებო, რაიონის შემნახველი საღაროების გამგეებო, ისარგებლეთ კომფორტაბელური სასტუმრო „კლუბის სცენით“!



საქსოცო იუმორი

— ყოველთვის, როცა ლამაზ ქალიშვილს ხედავ, გავიწყდება, რომ ჩვენ დაქორწილებულნი ვართ — შესჩილა ფრაუ ზიბენსკიმ ქმარს.

— პირიქით, — სევდიანად უთხრა ქმარმა, — მუდამ მახსენდება, რომ ეს ასეა.

- ბატონო გრაფო, თქვენ ხომ მუსიკალური ხართ?
- რასაკვირველია! — კვერს უკრავს გრაფი.
- თუ ასეა, მითხარით, რას ვუკრავ ახლა მე?
- გეტყვი, — ამაყად პასუხობს გრაფი, — თქვენ უკრავთ პიანინოს!

- რაო, თქვენ გამოგიცდიათ სარკინიგზო ავარია?
- ჰო, ერთხელ გვირაბში ქალიშვილის ნაცვლად მამას ვაკოცე!

კარლ ვალენტინი მოწმედ გამოიძახეს სასამართლოში. მოსამართლემ წესისამებრ დაარიგა იგი: — აბა, ბატონო ვალენტინ, თქვენ უნდა დაიფიცოთ, რომ მხოლოდ იმას იტყვი, რაც თვით გინახავდა და არა იმას, რაც გაგიგონიათ!

- ვალენტინმა თავი დაუქნია:
- აბა ბატონო ვალენტინ, როდის დაიბადეთ?
- სამწუხაროდ, ფერ გეტყვი, ბატონო მოსამართლე, ეს მე მხოლოდ გაგონილი მაქვს.

გერმანულიდან თარგმნა გ. მაჭუტაძემ

- დღეს სტუმარი მომყავს, — ტელეფონით შეატყობინა ეემანმა თავის ცოლს.
- კარგი ნერვები გქონია! — გაიცინა ცოლმა მწარედ. — მოსამსახურე ისვენებს, ბავშვები ავად არიან, ბნა დაუღაგებელია, მე გაციებული ვარ, მეზორცეს ფული გადასახდელია და შენ სტუმრის მოყვანას აპირებ?
- მე მას მოვიყვან. ამ იდიოტს ცოლის შერთვა უნდა და მე მინდა ვუჩვენო ცოლიანი კაცის ბედნიერება.

გერმანულიდან თარგმნა ლ. ცოტაძემ

რედაქტორი — ნიკო შველიძე.


სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. კელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 2-13-29.

გამომც. № 7. ხელმოწ. დასაბ. 19/III-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეფ. № 311. ფ. 00864. ტირ. 40.000.

საერთაშორისო



«საერთაშორისო» ვაგონს სხვა ვაგონებთან შედარებით ერთი უპირატესობა ჰქონია — მგზავრობა მუსიკის თანხლებით ხდება. არა, ვაგონში რადიოს ამაოდ ნუ ეძებთ. მე, მაგალითად, მთელ ღამეს მართობდა დგანდგარი. ზანზარი, რახრახი და დაბერებული ხის ნაწილების გაუთავებელი ჭრაჭუნნი.

ჭრაჭ-ჭრაჭ. რახ-რახ. კრიჭ-კრაჭ. — მესმის. ვწევარ. თავი მიბრუნის და ვფიქრობ: ეს «მუსიკა» ალბათ. გათვალისწინებულია ბილეთის ფასში.

გათენებულა. თავგასიებული ვიღვიძებ. თუმცა რას ვიღვიძებ. როცა მთელ ღამეს თვალდახუჭულს თვალი არ მიხსუტავს. ფანჯარაზე ჩამოცმულ გაუმჭვირვალე ფარდას მაღლა ვექაჩები და არაფერი გამოდის. ტულეტში შევდივარ. თბილ წყალს ვეძებ და აქაც არაფერი გამოდის. ონკანს კი აწერია — «Х.О.И.» — «Х.О.И.». ონკანს ისარი აქვს. რომელიც არ ტრიალებს, ჩაყანულია. მიღში ცივი წყალი ჩამოწანწყარდა. კარგია, გახურებულ შუბლს ეს მოუხდება. ცალი ხელით ტულეტის საკეტმოშლილ კარს ვებლაუჭები. რომ გვერდითი კუბეს თანამგზავრი ქალი არ შემომესწროს. მეორე ხელით შუბლს ვივრილებ და ჩემს კუბეში ვბრუნდები.*

კრაჭუნი გრძელდება, თბილისში ჩამოსვლის დროც გრძელდება, მატარებელი გაჩერებულა ჭრაჭუნიც შეწყვეტილა. მე კი ვერაფერს ვგრძნობ, ვიდრე ჩემს ყურს გამცილებლის სასიამოვნო სიტყვები არ ჩაესმის: — მოვედით ძიაჯან!

გამოფიტული, თავგაბრუებული, ძალაგამოლეული მივლასლასებ, შურით შევცქერი ბაქანზე ჩიტვიით მსუბუქად მიმავალ მგზავრებს, რომლებიც ამ ვაგონის კიბიდან ჩამოფრინდნენ, რომელსაც მსხვილი ასოებით აწერია — ЖОСТКИЙ.

ტაქსის მომლოდინეთა შორის უკანასკნელ ადგილს ვიკავებ იმ კაცის შემდეგ, რომელიც წუხელ მეორეთმეტე ვაგონით მგზავრობდა და ბათუმში წუხდა «საერთაშორისოს» ბილეთი ვერ ვიშოვეო.

«ვოლგას» რბილი საჯდომი «საერთაშორისოს» შემდეგ საპლანეტაშორისო მგონია. გადაწოლილი ვარ. ვფიქრობ და ბუნდოვნად მაგონდება:

Поль

умивальником!

принадлежность

ეს წარწერა ტულეტში ამოვიკითხე. «პრინაღლეუნოს-ტი» არ დამხვედრია.

— ააა! — გავაბი ისევ ფიქრში გართულმა. — აი რატომ «ტავიორდებულა» «ტვიორდი ზნაკივით» საერთაშორისოა.

სანაძლოვს ვარ. რომელიმე «საერთაშორისო» ვაგონის რკინის რომელიმე ნაწილს აუცილებლად აწერია: დამზადებულია 18... რომელიდაც წელს.

მამ როდისღა დაიკავეს «საერთაშორისო» ვაგონი «ტვიორდი ზნაკის» ადგილს?

ბ. ჯამბაკური

— თედო, ეს ლორები მანდ რომ მორჩებიან ხგნას.
აქეთ გადმორეკე, თუ ძმა ხარ, თორემ უმტრად მოგ
შემეყურე შორს ვერ წავალ.

ნახ. დ. ერისთავისა

